

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის
ხელოვნების კოლეჯი“
სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2016-2021წ.წ.)

შინაარსი:

1. შესავალი;
2. კოლეჯის მისია;
3. სტრატეგიული მიზნები;
4. სტრატეგიული ამოცანები;
5. გარემოს ანალიზი/ძირითადი გამოწვევები;
6. საგანმანათლებლო პროგრამები;
7. კოლეჯის სამომავლო განვითარების ძირითადი მიმართულებები;

შესავალი

კოლეჯის სტრატეგია შექმნილია იმისათვის, რომ სასწავლებელმა შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის გამჭვირვალედ და ეფექტურად განხორციელება. მასში ასახულია კოლეჯის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები. წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები.

სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და პრაგმატული ანალიზით. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა.

ისტორია

სსიპ „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“-ს დაქვემდებარებაში არის ორი სკოლა: მ. თოიძის გამოყენებითი ხელოვნების სკოლა და ვიზუალური ხელოვნების სკოლა.

ხოლო ვიზუალური სკოლა არის ახალი დაფუძნებული და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი ჩამოყალიბება,

ამ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ახალ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი თანამედროვე შენობის დაგეგმარება-მშენებლობა, სადაც სამომავლოდ განთავსდება ჩვენი ცენტრი.

სწორედ ამ მიმართულებით, ვიზუალური სკოლის თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიების და სტუდიების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმარების მიზნით გვსურს თქვენთან აქტიური თანამშრომლობა.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯის“

მისია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „თბილისის ხელოვნების კოლეჯის“ მისია ხელოვნების სფეროში განახორციელოს ყველა შესაბამისი პროგრამა და ინიცირება გაუწიოს ჯერ არარსებული პროგრამების შექმნას. მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური პროფესორ/მასწავლებლების მიერ თანამედროვე სტანდარტებზე დაყრდნობით მოამზადოს, თანამედროვე რომის ბაზარზე თანადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. ჩვენ იმიზანია ხელოვნების სფეროში ჩამოვყალიბდეთ როგორც რეგიონალური ცენტრი, სადაციქნება მუდმივი კრეატივი და სიახლე, რომელიც წარმატების შემთხვევაში შესაძლებელია და აუცილებელია დაინერგოს ნებისმიერ სხვა კოლეჯში, რომელიც აღნიშნული მიმართულების პროგრამებს ახორციელებს. ასევე ნებისმიერ სიახლეს ხვათა კოლეჯები და უნდა გაზიარებული იქნეს ჩვენს მიერ. ერთიანობა პროფესიული განათლების სფეროში წინაპირობა იქნება წარმატებისა და განვითარებისთვის.

. საჭიროა პროფესიული განათლების დონის ადაპრესტიჟისა წევვა. სამწუხაროდ, სტერეოტიპი და მსჯელი ინსტიტუტის სტატუსისა, რომელიც წლების განმავლობაში ჰქონდა პროფესიული განათლებას, ჯერ დაძლეული არ არის და საჭიროა ძალიან დიდი მუშაობა ამ მიმართულებით.

სტრატეგიული მიზნები

ჩვენი მიზანია, რომ ხელოვნების სფეროში ჩამოვყალიბდეთ რეგიონალურ ცენტრად, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების და კადრების მომზადებას. ასევე, მოახდენს ხელოვნების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მუდმივად იზრუნებს კადრების განვითარებაზე, დაამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან, ხელს შეუწყობს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართვას, მოახდენს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და მორგებული პროფესიონალი კადრების მომზადებას, რომლებიც მუდმივად ორიენტირებულნი იქნებიან მომავალი განვითარებისა და პროფესიული ზრდის მიმართულებით.

კოლეჯში დასაწერგი საგანმანათლებლო პროგრამები მორგებული იქნება ხელოვნების და თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებზე, რომელიც თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც ითვალისწინებს.

ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ასევე მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების და ტრენინგ-კურსების დანერგვა, რომელსაც თან ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება-შენარჩუნება, სტუდენტების, მათ შორის შშმ და სსსმ პირებისთვის საწარმოო პრაქტიკის გატარების და მათი სამომავალი დასაქმების უზრუნველყოფა, ჩვენი საქმიანობის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს.

პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის და მათი მოტივაციის მიზნით, მნიშვნელოვანია უცხოეთის სხვადასხვა თანამედროვე პროფესიული სწავლების ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა, სხვადასხვა წამყვან კომპანიებთან პრიორიტეტულ მიმართულებებში მემორანდუმების გაფორმება და შესაბამისად მათი გამოცდილების გაზიარება, ახალი-მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთგაცვლა და სისტემატიური გადამზადების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

ვინაიდან ჯერ კიდევ მცირეა დაუფლებული პროფესიის მიხედვით კურსდამთავრებული, პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი, აუცილებელია კურსდამთავრებულ სტუდენტებთან ხშირი კომუნიკაციის და დაკვირვების საფუძველზე მათი უკუკავშირის უზრუნველყოფა. ასევე უშუალოდ

დამსაქმებლებთან მიზანმიმართული ურთიერთობის და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების დეტალური ანალიზი, უდავოდ ნათელყოფდა სასწავლო პროცესის დროს დაშვებული ხარვეზების ოპტიმალური აღმოფხვრისთვის და კარგი შესაძლებლობა იქნებოდა სასწავლო პროცესის სამომავლო დახვეწისა და ოპტიმიზაციის მიზნით.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული სტუდენტები, სასწავლო პროცესის გარდა ჩართულები იყვნენ კულტურულ, საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში.

ამ მიზნით, კოლეჯი ხელს შეუწყობს სტუდენტთა თვითშემოქმედებას, ორგანიზებას გაუკეთებს კონფერენციების, გამოფენების და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.

სტრატეგიული ამოცანები

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება მოიცავს შემდეგ ზოგად პრიორიტეტულ მიზნებს:

- გამართული სასწავლო პროცესის ორგანიზების უზრუნველყოფა;
- სწავლების ხარისხის და მისი შეფასების მექანიზმების უზრუნველყოფა;
- კოლეჯის სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებადი მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და რეალიზაცია,
- საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება და ახალ პროფესიულ სტანდარტებთან და სასწავლო ნორმატივებთან შესაბამისად მათი მუდმივი განახლება და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- კვალიფიკაციის ამაღლება, ტრეინინგები, მივლინებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების გასაზიარებლად;
- საგანმანათლებლო სისტემისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის სისტემის განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესების მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფა;
- თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელების ხელშეწყობა;

- საქართველოსდა საზღვარგარეთის სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებთან და საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.
- სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და გამოცდილების მიღების მიზნით მჭიდრო კავშირების დამყარება ცალკეულ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- ქმედითი, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი, დინამიური თვითგანვითარებისათვის;
- პედაგოგიური პერსონალისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, კვალიფიკაციის ამაღლება;
- ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის ღირსეული სწავლის პირობების შესაქმნელად;
- უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიულ კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიით მუშაობისას;
- უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მობილობის წახალისებას;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესშიშესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა მიმართ თანასწორი დამოკიდებულება განურჩევლად წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა.

გარემოს ანალიზი/ძირითადი გამოწვევები

სახელოვნებო მიმართულებაში პროფესიული სწავლების განხრით არსებული წყვეტა, გახდა საფუძველი ამ მიმართულებით არსებული გარკვეული სტაგნაციისა. სხვადასხვა კოლეჯებში ხელოვნების დარგის დაქსაქსულ პროგრამებს, ბუნებრივია გაუჭირდებოდათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განვითარება. ეს პროცესი გარკვეულწილად თვითდინებაზე იქნა მიშვებული და ცალკეული მოხალისეებისა და ენთუზიასტების ანაზარა დარჩა. რის გამოც რათქმაუნდა საერთო საშემსრულებლო ოსტატობამ გარკვეული რეგრესი განიცადა. ამიტომ ვფიქრობთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არის ამ პროცესის ისევ მწყობრ, ერთიან სისტემაში მოქცევა, რაც აუცილებლად გამოიწვევს ამ დარგების მომავალ განვითარებას, მასში

ახალი იდეებისა და ნოვაციების ბუნებრივ სინთეზს ტრადიციულად არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან.

კოლეჯი უზრუნველყოფს მისი სტუდენტების შრომითი და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევის კომპეტენციების ჩამონათვალში, ღირებულებების განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. შესაბამისად, სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას ყველა სახის სოციალური საჭიროების, მათ შორის შშმ და სსსმ პირთათვის.

კოლეჯის პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება. შესაბამისად, პროგრამების თეორიული და პრაქტიკული

კომპონენტები უზრუნველყოფს სამუშაოს განხორციელებისთვის სასწავლებლის სტუდენტებისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების განხორციელებას.

ასევე მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციები დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების დასადგენად ამა თუ იმ პროფესიაზე. დამსაქმებელთა მოთხოვნებს, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამების სტანდარტებთან ვითვალისწინებთ პროფესიული პროგრამების სტანდარტებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას.

საგანმანათლებლო პროგრამები

სსიპ „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“-ს ძირითადი შენობა მდებარეობს წერეთლის #134-ში, სადაც ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაში შედის სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღნიშნულ ბაზაზე მოხდება ჩვენს მიერ დაგეგმილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება.

ამ ეტაპზე იგეგმება სსიპ „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“-ს დროებით იჯარით აღებულ ფართში განთავსება, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის, არქიტექტორ-ტექნიკოსის, დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის, ღონისძიების დიზაინერის, მემინანქრისა და თექის ოსტატის საგანმანათლებლო პროგრამები.

ჩვენ შევეცდებით ქვემოთ უფრო ფართოდ განვიხილოდ თითოეული პროგრამა და მათი განხორციელების პერსპექტივები.

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროფესიაა, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე გარკვეულწილად იგნორირებული იყო, რადგან ყველა ცდილობდა ამ საფეხურის გავლის გარეშე „დაეპყრო“ მოდის მწვერვალები. რაც უმეტესწილად დიდ პრობლემებს ქმნიდა და დღესაც ქმნის ამ სფეროში. იდეები მრავლად არის მაგრამ ამ იდეების განხორციელება პროფესიული კადრების სიმცირის და ხშირად არარსებობის გამო ძნელდება. მოდელიორებს თითქოს ეთაკილებათ ამ საფეხურის გავლა, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს რომ ეს სპეციალობა არამც თუ საჭიროა, არამედ უმთავრესია ამ სფეროს განვითარებისათვის.

არქიტექტორ-ტექნიკოსის სპეციალობა, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადია თავისი სპეციპიკიდან გამომდინარე. თანამედროვე მოთხოვნები მშენებლობაში უდიდეს როლს აკისრებს არქიტექტორ-ტექნიკოსს, რადგან მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი პროექტი უმთავრესი წინაპირობაა წარმატების მისაღწევად. აღნიშნული პროგრამა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს სრულად დაეუფლოს ამ რთულ და საჭირო პროფესიას.

დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროგრამა, ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული დარგია ქართულ გამოყენებით ხელოვნებაში. იგი მოიცავს გობელენის, ხალიჩის, ფარდაგის, ქვილთის, თექის, შიბორის, ბატიკის, დაჩითული ქსოვილის ნაკეთობების შექმნას, როგორც ხელით, ისე მანქანური წესით. ასევე აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ქსოვილის გაფორმება ქარგვის სხვადასხვა სახეობით და დაზიანებული ქსოვილის რესტავრაცია. აღნიშნული სპეციალობა თავის თავში უხვად მოიცავს როგორც ტრადიციულ ელემენტებს, რომელთა შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის აუცილებელია და უმთავრესი მოვალეობაა ყოველი ჩვენგანისა, ასევე თანამედროვე შესაძლებლობებს აღნიშნული ტექნიკით უამრავი სიახლის (სასუვენერო და საყოფაცხოვრებო) შექმნა შესაძლებელი. რაც აუცილებელი მოთხოვნაა თანამედროვე ბაზრისა, რადგან აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანი კურსდამთავრებულის ბაზარზე დამკვიდრებაა, რაც შეუძლებელი იქნება გარკვეული მოდერნიზაციის გარეშე.

ღონისძიების დიზაინერის პროფესია, შედარებით ახალია აღნიშნული სახით და საკმაოდ მოთხოვნადია თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე. ღონისძიების დიზაინერის სამუშაო გარემოს წარმოადგენს ოფისი, თუმცა მას ასევე უწევს მუშაობა ღია სივრცეში.

აქვე განვიხილოთ ის 4 პროგრამა, რომელიც ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ჩვენს სასწავლებელში:

მემინანქრე ტრადიციული ქართული დარგია, რომელიც პოპულარულია ჩვენს საზოგადოებაში და საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს, იმდენად ბევრი, რომ ზოგჯერ ეს მრავალფეროვნება მდარე ხარისხის ფონზე წარმოიჩინდება.

ამიტომ დარგის განსავითარებლად და ხარისხის შესანარჩუნებლად აუცილებელია მინანქრის შესწავლა მიმდინარეობდეს სასწავლებელში წინასწარ განსაზღვრული პროგრამის შესაბამისად თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ტიხრული ტექნოლოგიის მხარდამხარ, აუცილებელია არატიხრული, ფერწერული მინანქრის განვითარება. ეს მიმართულება ტიხრულ მინანქართან ერთად ახალ რელსებზე გადაიყვანს ამ დარგს და შესძენს სიახლეს, რაც აუცილებელია ნებისმიერი დარგის განვითარებისათვის.

კერამიკის ნაწარმის სპეციალისტი უმნიშვნელოვანესი დარგია გამოყენებით ხელოვნებაში, რომელსაც მინანქრის მსგავსად უდიდესი ტრადიციები გააჩნია, თუმცა კერამიკის შემთხვევაში აუცილებელი იქნება ახალი იდეების ხორცშესხმა, რათა აღნიშნული დარგი არ დარჩეს მხოლოდ ისტორიულ ტრადიციულ დარგად. ეს სავსებით შესაძლებელია.

ფოტოგრაფია ერთ-ერთი იმ დარგთაგანია რომლითაც ყველაზე მეტი ადამიანი გატაცებული. თუმცა ეს სიმრავლე არ ნიშნავს დარგის სიღრმისეულ ცოდნას. ფოტოგრაფიის პროფესიული ცოდნა აბსოლუტურად განსხვავებულ და ღრმა ცოდნას მოითხოვს. ამიტომ აღნიშნული პროგრამა ჩვენი აზრით აუცილებლად უნდა განხორციელდეს ჩვენს სასწავლებელში.

ხის მხატვრული დამუშავება ერთ-ერთი იმ დარგთაგანია რომელსაც უდიდესი მოთხოვნა აქვს როგორც საყოფაცხოვრებო ისე საეკლესიო კუთხით. აქ აუცილებლად გამოსაყოფია ორი მიმართულება ხელით მხატვრული ჭრა და დაზგა-დანადგარებზე განსახორციელებელი სამუშაოები.

საქართველოს მთიანეთში ხის დამუშავების დიდი ტრადიციები არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში რუსეთის იმპერიის ინიციატივით საქართველოში საცხოვრებლად ათასობით გერმანელი (ზადენ ვიუტერმბერგიდან) ჩამოასახლეს. კოლონისტებს შორის ბევრი იყო ხის და ავეჯის ხელოსანი. გერმანელები იყვნენ პირველები ვინც საქართველოში ხის კასრების წარმოება დაიწყო. საქართველოში ხის ნედლეული და მათი მრავალფეროვნება საშუალებას იძლეოდა საკმაოდ ხარისხიანი პროდუქცია შექმნილიყო. საქართველოდან სხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთის სამხრეთში გადიოდა დიდი რაოდენობით ხის ჭურჭელი, რომლის დამზადების დიდი ტრადიციები არსებობდა მთიან რეგიონებში.

ინდუსტრიალიზაციის გაფართოებამ და საინჟინრო მერქანზე გადასვლამ (საინჟინრო მერქანია MDF, OSB, მერქანბურბუშელოვანი ფილები და ა.შ.) ნაბიჯ-ნაბიჯ გაანადგურა ხის დამუშავება. მივიწყებთ მიეცა ის ცოდნაც, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა. აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი სახლების სივრცეები სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილმა იმპორტულმა ავეჯმა შეავსო. მაგრამ ჩვენი აზრით სწორი მენეჯმენტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სიღრმისეული ცოდნის პირობებში ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენ ადგილს ხის დამუშავების მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენს სასწავლებელში განსახორციელებელი პროგრამებისთვის ასევე აუცილებელია ხატვა-ფერწერისა და ხაზვის სახელოსნოები, კომპიუტერული და

თეორიული სწავლების აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახები.

კურსდამთავრებულ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ დასაქმდნენ ნებისმიერი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციაში, ღონისძიებების მომწყოზ კომპანიაში, პიარ-კომპანიაში, სასტუმრო-სარესტორნო ბიზნესში, სარეკლამო სააგენტოში. ასევე შეუძლია თვითდასაქმება. ეს ერთ-ერთ ყველაზე კრეატიული და საინტერესო პროფესიაა.

წერეთლის გამზ. #134-ში მდებარე ძირითად შენობაზე და ინფრასტრუქტურაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ იგეგმება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლების მიმართულებით.

ხელოვნების მიმართულებები:

1. დეკორატიული და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი;
2. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
3. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი;
4. თექის ოსტატი;
5. ღონიძიების დიზაინერი;

წარმოება და დამუშავების მიმართულება:

6. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
7. ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი;

არქიტექტურა და მშენებლობის მიმართულება:

8. არქიტექტორ-ტექნიკოსი;

დამუშავების პროცესში მიმდინარე პროგრამები

აუდიო ვიზუალური ხელოვნების მიმართულება:

9. მონტაჟის რეჟისორი;
10. ფოტოგრაფი;
11. ხმის რეჟისორი;
12. კინოწარმოების რეჟისორი;

13. ანიმატორი (კლასიკური ანიმაცია);
14. კინო ოპერატორი;
15. ხმის ოპერატორი;
16. მხატვარ-გრიმიორი (კინოგრიმი, ტელეგრიმი);
17. კინო განათების სპეციალისტი (გაფერი);
18. მხატვარ-დეკორატორი (თეატრი/კინო);
19. ვიზუალური ეფექტების სპეციალისტი;
20. ფერის კორექციის სპეციალისტი;

ხელოვნების მიმართულება;

21. ფლორის-დიზაინერი;
22. მემინანქრე;
23. იუველირი;
24. ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტი;
25. ინტერიერის დიზაინის კომპიუტერული პროგრამებით კონსტრუირების სპეციალისტი;
26. ლითონის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი;
27. არქიტექტურული დეტალების მძერწავ-ფორმატორი;
28. ეროვნული სამოსის სპეციალისტი;
29. სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი;
30. მქარგავი;
31. მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტი;
32. მინის ვიტრაჟის ამწყობი;
33. კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი;
34. მხატვარ-შემსრულებელი;
35. არქიტექტურული დეტალების რესტავრატორი;
36. ფერწერული ნამუშევრების რესტავრატორი;
37. ხის დეტალების რესტავრატორი;
38. ხატმწერი;

კოლეჯის სამომავლო განვითარების ძირითადი

მიმართულებები;

ყოველივე ზემოთაღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია პარალელურად შემდეგი ქმედებების განხორციელება რამოდენიმე მიმართულებით.

პიარ კამპანიის დაწყება ხელოვნების სფეროში (შესაძლებელია ეს იყოს ერთ-ერთი მიმართულება საერთოდ პროფესიული განათლების) კონკრეტული საზღვრის არ არსებობისა უმაღლესსა და პროფესიულ პროგრამების კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კუთხით პროფესიული უნარჩვევების ხარისხთან მიმართებაში. ნათლად წარმოჩენა პროფესიული პროგრამის უპირატესობებისა, რომ მსურველს შეუძლია მცირე დროში შეისწავლოს ესა თუ ის დარგი ისე, რომ პრაქტიკული შესრულების (ტექნიკურად სრულყოფილად და უზადოდ) მხრივ მათი პროდუქტი არაფრით იქნება ნაკლები უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მიერ შექმნილი პროდუქტისა. ჩვენი აზრით ეს დაეხმარება თვითონ უმაღლეს სასწავლებლებსაც, იგივე სამხატვრო აკადემიას, რომ მათ ჭეშმარიტად აკადემიური განათლება მისცენ თავის სტუდენტებს და ისინი არ მარტო პროფესიულად, არამედ ინტელექტუალურადაც სრულყოფილნი წარდგენ საზოგადოების წინაშე. უნდა მკვეთრად გაიმიჯნოს უმაღლესი და პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები. პროფესიული განათლების მთავარი მიზანი არის სტუდენტისთვის სრულყოფილი პროფესიული უნარების მაქსიმალურად განვითარება. ხოლო უმაღლესის მიზანი არის ამ დარგის სრულყოფილი (პროფესიულადაც და ინტელექტუალურადაც) საფუძვლიანი ცოდნის მქონე სპეციალისტის გაზრდა. ამ ორ მიზანსა და ამოცანას შორის შეუძლებელია არსებობდეს რაიმე კონკურენცია. პირიქით პროფესიული განათლება არის პირველი საფეხური, მყარი საფუძველი უმაღლესი განათლებისთვის. ამ გაურკვეველი კონკურენციის მავნე შედეგები იყო სწორედ ნიკოლაძისა და თოიძის შერწყმა სამხატვრო აკადემიასთან, მაგრამ პრაქტიკულად ორივე სასწავლებლის გაუქმება.

სახელდობრაუცილებელია პიარი ახალი პროგრამებზე მსურველების მოზიდვისა. ამისთვის პირველ რიგში აუცილებელია სიახლეების, პერსპექტივების ნათლად წარმოჩენა. პროგრამის გავლის მსურველს ნათლად უნდა ქონდეს წარმოდგენილი რის სასწავლებლად მოდის და რა შედეგი ექნება მის მიერ აღნიშნული უნარჩვევების შესწავლასა და განვითარებას. დასარღვევია ის სტერეოტიპი, რომელიც წლებია არსებობს ქართულ საზოგადოებაში, როდესაც ძირითადი მოტივი თუ რატომ უნდათ ამა თუ იმ პროგრამაზე სწავლა არის ის რომ, ბავშვი კარგად ხატავს. შემდეგ ამ მოტივაციით მომავალი პირი გაუაზრებლად ირჩევს რომელიმე პროგრამას და ძირითადად ისე ამთავრებს არჩეულ პროგრამას რომ, ვერ აღიქვამს რისთვის გაიარა

ეს სასწავლო კურსი. სწორი მოტივაცია, მიზნისკენ ეტაპობრივი და გააზრებული სვლა იქნება წინაპირობა წარმატებისა.

ურთიერთ-თანამშრომლობა უცხოელ სპეციალისტებთან და უცხოეთში არსებულ ანალოგიურ სასწავლებლებთან. ისეთი დარგები როგორცაა მინანქარი და კერამიკა, რომლებიც საკმაოდ პოპულარული და დიდი ტრადიციების მქონეა საქართველოში, გარკვეულწილად მაინც საჭიროებს უცხოური გამოცდილებით შევსებას. განსაკუთრებით საინტერესოა იტალიური არატიხრული (ფერწერული) მინანქარი. საქვეყნოდ ცნობილია აღმოსავლური ჩინური და იაპონური კერამიკული ნაკეთობანი. თუმცა არის დარგები, მაგალითად ხის მხატვრული დამუშავება დაზღა-დანადგარების კუთხით. რომლისთვისაც ალბათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების გაზიარება. ერთი მაგალითიც საკმარისია ამ პრობლემის დასაწახად, დღეს ბევრი საქართველოში არსებული ხის საამქროები საკმაოდ მაღალი ხარისხის დაზღა-დანადგარებითაა აღჭურვილი, მაგრამ პროფესიული კადრების უქონლობის გამო დაახლოებით იგივე სიმძლავრისა და ხარისხის დანადგარებზე ერთი და იგივე მასალისაგან და ერთი და იგივე ფურნიტურისაგან, რომლის ნაკლებობას ჩვენ არ უჩივით, პოლონეთში ამზადებენ ავეჯს, რომლითაც უზვადაა გაჯერებული ჩვენი ბაზარი. თუ გავითვალისწინებთ ამ ავეჯის ტრანსპორტირებასა და საბაჟო გადასახადებს და იმას რომ, ბუნებრივია აღნიშნული პოლონური კომპანიები საკმაოდ სოლიდური მოგების გარეშე არ რჩებიან, ისმება კითხვა, რატომ ვერ ხერხდება ჩვენს რეალობაში ამ ხარისხის ავეჯის დამზადება? პასუხი ჩვენი აზრით ყველასთვის ნათელია, ცოდნა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა.

აუცილებელი იქნება არტ-სალონის შექმნა. კოლეჯების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და მიღებული შემოსავლის კოლეჯების მიზნებისთვის გამოყენება ჩვენს შემთხვევაში არ არის უმთავრესი, რის გამოც ზემოთაღნიშნული ქმედება უნდა განხორციელდეს. ჩვენს შემთხვევაში უმთავრესი არის სტუდენტი და მისი ინტერესები. კერძოდ:

ჩვენი სტუდენტების მიერ შექმნილი ნაკეთობების რეალიზება სწავლის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, როგორც შეუძლებელია სპორტსმენი მხოლოდ ვარჯიშობდეს და არასოდეს არ გავიყვანოთ შეჯიბრზე, ვიოლინოს შემსრულებელი მხოლოდ სახლში უკრავდეს და არასოდეს გავიდეს სცენაზე, ასევე მიუღებელია პიროვნება მხოლოდ ქმნიდეს ნამუშევარს და არ ცდილობდეს მოახდინოს მისი რეალიზება.

ჩვენი აზრით ჩვენი კურსდამთავრებული უნდა იყოს მაქსიმალურად მომზადებული, რათა შეძლოს დამოუკიდებლად გასვლა და თავის დამკვიდრება ბაზარზე, სწორედ ამიტომ სასწავლო პროგრამაში საკმაოდ დიდი დრო ეთმობა ეკონომიკის საფუძვლებს. თავისივე შექმნილი ნამუშევრის რეალიზება არტ-სალონის ფარგლებში ჩვენ სტუდენტს დაეხმარება უკვე სწავლის პროცესშივე გარკვეულწილად შეეჩვიოს ბაზარს. შეისწავლოს სალონის სპეციფიკა (როგორც

ეკონომიკური, ასევე სამხატვრო კუთხით), გაეცნოს საზოგადოების მოთხოვნილებებს, თუ რა უფრო მოთხოვნადია და გაყიდვადი.

შეიძლება ითქვას არტ-სალონის არსებობა იქნება საუკეთესო, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული პრაქტიკა ჩვენი სტუდენტებისთვის, პრაქტიკა, რომლის გარეშეც ნებისმიერი სასწავლო პროგრამა არასრული იქნება.

კიდევ ერთი უმთავრესი უპირატესობა არტ-სალონის არსებობისა მდგომარეობს შემდეგში, სალონი რომელიც იარსებებს კოლეჯის ბაზაზე იქნება ძირითადად ორიენტირებული სტუდენტებზე და არა კომერციაზე, განსხვავებით ნებისმიერი სხვა სალონისა, რომლებსაც მხოლოდ კომერციული ინტერესები ამოძრავებთ. რაც ხელსშეუწყობს ჩვენს სტუდენტებს სრულფასოვანი თანამონაწილეები გახდნენ აღნიშნული სალონის ფუნქციონირებისა.

აქვე აღსანიშნავია უკვე ტრადიციად ქცეული საშობაო თუ სააღდგომო ბაზრობები ჩვენს ქვეყანაში (თავისთავად უდიდეს ბაზარს წარმოადგენს აღნიშნული ბაზრობები ევროპაში), თბილისობა და სხვა უამრავი ღონისძიებები რომელში მონაწილეობაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტების პროფესიული ზრდისთვის.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია პირველ რიგში ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის სრულყოფილი განათლების მიცემას, თუმცა მიღებული შემოსავლის კოლეჯების მიზნებისთვის გამოყენებაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტი იქნება კოლეჯის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული შეკვეთები სასაჩუქრე, სასუვენრო მიმართულებით, რომელში ჩართვაც სრულყოფილად შეუძლია ჩვენს კოლეჯს. ამ შემთხვევაში ბუნებრივია დაიზოგება საკმაოდ დიდი სახელმწიფო სახსრები, ხოლო ჩვენი სტუდენტები მიიღებენ უდიდეს გამოცდილებასა და პრაქტიკას.

კოლეჯის განვითარების, ახალი იდეებისა და ხედვების განსახორციელებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიბლიოთეკის არსებობა. ბიბლიოთეკა არ უნდა იყოს მარტოდენ წიგნების კრებული, მითუმეტეს სახელოვნებო პროგრამებისთვის სახელმძღვანელოების სიმცირე აშკარად სახეზეა, არამედ მას თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით უნდა შესწევდეს უნარი, მუდვივად განვითარების პულსზე ედოს ხელი და ნებისმიერი სიახლე ამა თუ იმ დარგში ხელმისაწვდომი გახადოს ჩვენი სტუდენტებისთვის. ეს შეიძლება იყოს სტატიების, მონოგრაფიების თუ სხვა სახის. ნებისმიერი სიახლე უმოკლეს დროში ცნობილი და გაზიარებული უნდა იქნეს კოლეჯის მიერ. ამ კომპონენტის გარეშე ჩვენი რიგ საკითხებში ისედაც საგრძნობი ჩამორჩენა შესაძლოა გადაულახავ უფსკრულად იქცეს ჩვენსა და თანამედროვე სწრაფად განვითარებად მსოფლიოს შორის.

ჩვენს ამოცანათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სკოლის წარმატებული ფუნქციონირება. შეიძლება ითქვას აღნიშნული სფერო საქართველოში ძირითადად თვითნასწავლი კადრებით არის წარმოდგენილი, რაც იმთავითვე შეუძლებელს ხდის ამ მიმართულებით სრულყოფილად მცოდნე სპეციალისტების არსებობას. ის ჩამორჩენილობა განვითარებულ ქვეყნებთან, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით ამ სფეროში ალბათ ყველაზე ნათლად ჩანს. ეს პრობლემა არა მარტო საქართველოშია ასე თვალხილული, არამედ მთელ ამიერკავკასიაში, რაც ვიზუალური სკოლის წარმატებულად ფუნქციონირების შემთხვევაში, აცილებლად გამოიწვევს აღნიშნული ქვეყნებიდან სწავლის მსურველთა საკმაოდ დიდი ნაკადს. საქართველოში არსებული კადრების არასასურველი დონე ყველაზე ნათლად იკვეთება კერძო სექტორის მიერ სარეკლამო მასალის შეკვეთის შემთხვევაში. დამკვეთისათვის ხშირად შექმნილი პროდუქტის ხარისხის განსასაზღვრად, შესადარებლად იყენებს უცხოურ ანალოგიურ სარეკლამო პროდუქციას. შედეგი ბუნებრივია ყოველთვის არაქართული პროდუქტის სასარგებლოთაა. ჩვენი კოლეჯი სპეციფიკიდან და ვიზუალური მიმართულების დარგების მოთხოვნიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით ამ სფეროს სპეციალისტები არა მარტო სტატიური შემსრულებლები უნდა იყვნენ ამა თუ იმ ქმედებისა, მაგალითად ოპერატორი, არამედ იგი დამდგმელი, მხატვრულად გამფორმებელი უნდა იყოს მის მიერ შექმნილი პროდუქტისა. სწორედ ამ მიმართულებით იქნება აუცილებელი უცხოელი სპეციალისტების მოწვევა და ჩვენი პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება. მხატვრული ხედვა, კრეატივი და რათქმა უნდა უპირველეს ყოვლისა მის მიერ გამოსაყენებელი ტექნიკის უზადო, სიღრმისეული ცოდნა იქნება წინაპირობა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სკოლის წარმატებისთვის.

ბუნებრივია ყველაფერ ზემოთხსენებულს დაეკარგება აზრი თუ ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა არ გვექნება დამსაქმებლებთან. ეს ჩვენი კოლეჯის უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს, რადგან ზოგადად პროფესიული განათლების განვითარება და ძირითადი მიზანი, ხომ სწორედ დამსაქმებლებზე და მათ რეალურ მოთხოვნებზეა დამოკიდებული. ერთ-ერთ ახალზელანდიურ დურგლის სტანდარტზე არის ძალიან საინტერესო კითხვა - „რა ცოდნით უნდა იყოს შეიარაღებული პროფესასწავლების კურსდამთავრებული, ჩემი ბიზნესი წარმატებული რომ იყოს?“. ეს არის კითხვა, რომელსაც ნებისმიერი პოტენციური დამსაქმებელი და პასუხი ამ კითხვაზე ფაქტიურად არის ჩვენთვის სამოქმედო გეგმა, მიზანი და შედეგი თუ რა მიმართულებით უნდა წარვმართოდ ჩვენი საქმიანობა. აუცილებელია გავიზიაროთ და განვახორციელოდ უცხოეთში საკმაოდ აპრობირებული აუდიო-ვიდეო გაკვეთილების შემოღება, რომელიც არნახულ შედეგს იძლევა. ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე ალბათ ყველა სახის დამსაქმებლებთან უნდა გვექონდეს მჭიდრო კავშირი, როგორც მსხვილ პარტნიორებთან, ასევე მცირე კომპანიებთან და კერძო პირებთან. ასევე აუცილებელია პიარის და რეკლამის საშუალებით საკუთარი შესაძლებლობების შეთავაზება მათთვის.

აქვე გვინდა შევეხოთ პარტნიორებს, რომელთანაც ჩვენ უკვე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. საქართველოს ხის დამამუშავებელთა და ავეჯის მწარმოებელთა ასოციაცია, რომელიც საკმაოდ წარმატებულად ანხორციელებს უცხოურ კომპანიებთან კონტაქტს და ამ ეტაპზე ძალიან საინტერესო და საჭირო მოლაპარაკება მიმდინარეობს ჰოლანდიურ ორგანიზაცია PUM-თან მენტორის ინსტიტუტის ამუშავებასთან საქართველოში. საუბარია სამ წლიან უწყვეტ თანამშრომლობაზე, რაც ამ დარგისთვის როგორც ზევით აღვნიშნეთ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ფოტოსახლი „ქოლგა,“ რომელთანაც საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობამ არაერთი უცხოელი პარტნიორი უკვე გაგვიჩინა, აღნიშნული კომპანიის წარმომადგენლები მზად არიან მასტერკლასები და ვორკშოპები ჩაატარონ ჩვენთან. თვითონ კომპანია „ქოლგა“ მზად არის სტუდენტური ფოტოგრაფია ცალკე სახით იქნეს წარმოდგენილი როგორც მისი ფესტივალის პროგრამაში, ასევე მის პარტნიორებთან, თუნდაც ისეთ ცნობილ ფესტივალთან როგორც არის საერთაშორისო ყოველწლიური ფესტივალი.

დადიანის #63-ში მდებარე კერამიკის საამქრო, რომელიც საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებს თბილისში და მათი გამოცდილება როგორც პროფესიული კუთხით, ისე მათი ბიზნესთან მჭიდრო კავშირი (მათი პროდუქცია ძირითადად ღვინის კომპანია „მილდიანისთვის“ იქმნება და მათ მიერ განხორციელებულია არაერთი სახელმწიფო შეკვეთა, კრამიტის რესტავრაციისა და სხვადასხვა ეკლესიების ტრადიციული გადახურვის კუთხით) ვფიქრობთ საინტერესო და სასარგებლო იქნება ჩვენთვის.